GEOMILL LLC
www.geomill.ge

ქ. თბილისი
22.05.2023წ.

მინდობილობა/რწმუნებულება
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ბესიკ ბეჟაშვილმა (დაბ. 09.11.1966 წ. პირადი №01010002963, რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №179, ბინა №10), როგორც **შპს „ჯეომილ"-ის** (რეგისტრირებული 20/08/2010 წ. საიდენტიფიკაციო №404870118, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ., №4) გენერალურმა დირექტორმა, **თამაზი ზანდარაშვილს** (დაბადებული 03.03.1957წ. პირადი №01030004510, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ლოლაძის I ჩიხი, #6, ტელ: 595 13 25 99), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც **„რწმუნებული"**, მიანიჭა **შპს „ჯეომილ"-ის** (შემდგომში წოდებული როგორც **„მარწმუნებელი"**) სპეციალური მინდობილის/რწმუნებულის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

1) მარწმუნებელს, კომერციული საქმიანობის ფარგლებში განზრახული აქვს მოახდინოს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე რკინიგზის ჩიხის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია #01.01.841. მიწის ნაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების სრულყოფილად უზრუნველყოფის მიზნით, რწმუნებელი წარმოადგენს მარწმუნებელს მესამე პირებთან მიმართებაში, მოქმედებს მარწმუნებლის სახელით, მარწმუნებლის ხარჯზე და უფლებამოსილია:
ა) მარწმუნებლის სახელით წარმართოს მიწის ნაკვეთზე მდებარე რკინიგზის ჩიხის რეკონსტრუქციის პროექტირებასთან დაკავშირებული პროცესები, ჩაატაროს ყველა აუცილებელი მოქმედება და დაიცვას მარწმუნებლის ყველანაირი ინტერესი მარწმუნებლის კუთვნილ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთი #01.01.841 - რკინიგზის ჩიხი) სარენსტრუქციო სამუშაოების ჩატარების უზრუნველსაყოფად, წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან, ნოტარიუსთან, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებასთან (ორგანოსთან), სამოქალაქო რეესტრში, საჯარო რეესტრში, სხვა ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოში, საჯარო და კერძო ორგანოში, ადმინისტრაციულ ორგანოში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო/დაწესებულებაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირთან, კერძო სამართლის იურიდიული პირთან, ფიზიკური პირთან და ფიზიკურ პირთა გაერთიანებასთან, ამხანაგობასთან, ასევე ყველა ინსტანციის სასამართლო ორგანოსა და/ან არბიტრაჟში, აუდიტორთან, ნოტარიუსთან და სხვა.

ბ) მოიპოვოს (გამოითხოვოს, შექმნას და სხვა) ნებისმიერი სახის დოკუმენტი ნებისმიერი სუბიექტისაგან (კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ფიზიკური პირი...). ნებისმიერ ორგანოში მარწმუნებლის სახელით წარადგინოს/შეიტანოს ნებისმიერი განცხადება, ნებისმიერი პროექტ(ებ)ი და ნებისმიერი ცვლილებები რომლებიც დაკავშირებული იქნება საპროექტო სამუშაოებთან, პროექტთან და მის რეგისტრაციასთან ნებისმიერ კერძო და საჯარო და კერძო ადმინისტრაციულ ორგანოში. რწმუნებული უფლებამოსილია გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი და მტკიცებულებანი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, წარადგინოს დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები ნებისმიერ საკითხზე;
გ) უზრუნველყოს მარწმუნებლის უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და რეგისტრირებული უფლებების და ვალდებულებების შეწყვეტა (გაუქმება), რეგისტრირებულ უფლებებსა და ვალდებულებებში ცვლილებების შეტანა, ხელი მოაწეროს ყველა იმ დოკუმენტს, რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც წინამდებარე აქტში არ არის მითითებული პირდაპირ, მაგრამ რაც გამომდინარეობს წინა ქვეპუნქტებში მითითებული უფლებამოსილებებიდან და რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

2) რწმუნებული ვალდებულია:
ა) შეასრულოს მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმები და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
ბ) მარწმუნებელს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;
გ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

3) რწმუნებულს ეკრძალება იმ ინფორმაციის გახმაურება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, თუ:
ა) მარწმუნებელს აქვს ინფორმაციის გაუხმაურებლობის კანონიერი ინტერესი.
ბ) კანონი არ ადგენს ინფორმაციის გახმაურების ვალდებულებას.

4) რწმუნებულს **არა აქვს** უფლება, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი სრულად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.

5) წინამდებარე აქტი (რწმუნებულება/მინდობილობა) მოქმედებს **6 თვის** ვადით. მარწმუნებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს ვადაზე ადრე გააუქმოს წინამდებარე აქტი.

მარწმუნებელი შპს „ჯეომილ“

გენერალური დირექტორი:

ბესიკ ბეჟაშვილი _____

GEOMIL LLC, 4 CHIRNAKHULI STR, TBILISI, GEORGIA * 404870118 *